

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ევროფუდ მასტერი” შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ზუგდიდი, კიკალიშვილის ქ. N3, შპს “ევროფუდ მასტერის”-ს ძირითადი საქმიანობაა საქონლით ვაჭრობა/რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია „ქვეყნის ფულად ერთეულებში (ფუ).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდამოკებისა რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობასთან (ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით. ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის საგადასახადო მოგებას, აღიარდება გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს საგადასახადო მოგებას, ასევე ყველა გამოუყენებელ საგადასახადო ზარალთან, ან გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტთან მიმართებით. გადავადებული საგადასახადო აქტივების შეფასება ხდება მაქსიმალური შესაძლო თანხით, რომლის აღდგენაც უფრო მოსალოდნელია, ვიდრე არა, მიმდინარე საგადასახადო მოგებისა, თუ შეფასებული მომავალი საგადასახადო მოგების საფუძველზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის და მისი კორექტირება ხდება მომავალი საგადასახადო მოგების მიმდინარე შეფასების ასახვის მიზნით. ნებისმიერი კორექტირების თანხა აღიარდება მოგებაში, ან ზარალში. გადავადებული გადასახადი გაიანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც, სავარაუდოდ, გავრცელდება იმ პერიოდების საგადასახადო მოგებაზე (საგადასახადო ზარალზე), როდესაც საწარმო მოედის გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენებას, ან

გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაფარვას და უკვე ძალაში შესულია, ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო თარიღისთვის.

დირექტორი:



ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 10–30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და შეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე

ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის

(ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

დირექტორი:



იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის

პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“

(„ფიფო“) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

4. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

დირექტორი:



5. ამონაგები

2021

2020

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	2490807	2045249
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	243911	222978
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	0	0
ამონაგები	2734718	2268227

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2021

2020

სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

1914303

1355279

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2021

2020

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
შრომის ანაზღაურება	409264	237958
საიჯარო ქირა	200028	96298
სხვა მარაგების ხარჯი	14870	1076
კომუნალური ხარჯები	67195	28591
კომუნიკაციის ხარჯები	3528	1049
ადმინისტრაციული ხარჯები	48211	48976
რეკლამის ხარჯები	1665	64
საკომისიო ხარჯი	11693.4	7137
წარმომადგენლობითი ხარჯი	0	616
სხვა საერთო ხარჯები	92592	18288
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	849047	440052

8. არასაოპერაციო შემოსავალი

2021

2020

სულ არასაოპერაციო შემოსავალი	1764	13973
------------------------------	------	-------

9. არასაოპერაციო ხარჯი

2021

2020

საპროცენტო ხარჯი	26231	0
არასაოპერაციო ხარჯი/ზარალი	570	366
სულ არასაოპერაციო ხარჯები	26801	366

დირექტორი:



<u>10. მოგება/ზარალი</u>	<u>2021</u>	<u>2020</u>
საანგარიშო პერიოდის მოგება /ზარალი	-44535	-22949
წინა საანგარიშო პერიოდის დაუფარავი მოგება/ზარალი	54483	-21586
მოგება/ზარალი საანგარიშო წლის ბოლოსათვის	9948	-44535

<u>11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</u>	<u>2021</u>	<u>2020</u>
დებიტორული დავალიანება	37388	55549

<u>12. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები</u>	<u>2021</u>	<u>2020</u>
გასაყიდად განკუთვნილი სასაქონლო-მატერიალური მარაგები საანგარიშო წლის ბოლოსათვის	357967	294644
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	357967	294644

დირექტორი:



13 ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება

1 იანვარი 2021 წ	40071
31 დეკემბერი 2021წ	134237
შემოსვლა	116334
გასვლა	0
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	
გაუფასურება	0
წლიური ცვეთა (ჩართულია ადმინისტრაციულ ხარჯებში)	22168
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2021წ	134237

14. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება

1 იანვარი 2021წ	7921
შემოსვლა	0
გასვლა	0
31 დეკემბერი 2021წ	7921

დირექტორი:



<u>15. ჩვეულებრივი იჯარა</u>	<u>2021</u>	<u>2020</u>
ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული საიჯარო ხარჯები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად	200028	96298

<u>16. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები</u>	<u>2021</u>	<u>2020</u>
ფულადი სახსრები სალაროში	10752	9837
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	4461	10264
ფულადი სახსრების ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	15213	20100

დირექტორი:



მოგება & ზარალი

2021

2020

შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	2734718	2,268,227
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2,734,718	2,268,227

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	1914303	1,799,257
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება ფასდათმობა	1,914,303	1,799,257

საერთო მოგება	820,415	468,970
----------------------	----------------	----------------

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
შრომის ანაზღაურება	409264	283289
საიჯარო ქირა	200028	76317
სხვა მარაგების ხარჯი	14870	5091
კომუნალური ხარჯები	67195	38916
კომუნიკაციის ხარჯები	3528	1351
ადმინისტრაციული ხარჯები	48211	5553
რეკლამის ხარჯები	1665	1361
ბანკის საკომისიო	11693.4	1005
წარმომადგენლობითი ხარჯი	591	675
სხვა საერთო ხარჯები	92001.241	45837
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	849047	459395

სულ საოპერაციო მოგება **-28,632** **9,575**

არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1764	12377
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	1764.01	12377

არასაოპერაციო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი	26231	0
არასაოპერაციო ხარჯი/ზარალი	570	366
სულ არასაოპერაციო ხარჯები	26801	366

საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-53,669	21,586
---	----------------	---------------

ღირეუქტორი:



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	2021	2020
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	15,213	61,809
სავაჭრო მოთხოვნები	37,388	55,549
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		
მარაგები	-	294,644
- მზა პროდუქცია	357,967	294,644
- სხვა		
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	7,921	7,921
ძირითადი საშუალებები	134,237	40,071
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	552,726	459,994

ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები		
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	(562,674)	(411,516)
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	(440)
საგადასახადო ვალდებულებები		(3,503)
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	(562,674)	(415,459)

საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(44,535)	(22,949)
პერიოდის მოგება/ზარალი	54,483	(21,586)
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	9,948	(44,535)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	(552,726)	(459,994)

დირექტორი:

